

2. 20

ახალი პირნა.

(მოკლე აღწერა.)


ტრიუმნ ჯაფრიძის.

1881

რუთაიში.

სრუმბა „მუსიკა“ ჰესჩეკვის ქუჩა, № 17.

1912



Санкт-Петербург

ԱՐԵՎԱԹՈՒՅԻՆ

38670

(Թույլատ առվից)։


ԾՐՈՑՈՒՅԻՆ ԽԱՅԱՀՈՎՈՍՏԱ.



ԺՇՏԱՅՆ

Արամիս „մանա.“ կաթայուցու յշին, № 17.

1912



କ୍ରେଟିଲ ପାତଳନୀ.

ახალი პთონი.

წელს შემთხვევა მომეცა; შავი ზღვით გავიარე
და ახალი პთონი ვნახე.. შეიძლება, მკითხველო, შენ
სრულიადაც არ გაინტერესებდეს მონასტრები საზო-
გადოთ და კერძოთ ახალი პთონი. შეიძლება ბე-
რობა და ბერების ცხოვრება შენს ყურადღებას არც
კი იქცევდეს; ისიც შეიძლება, რომ საზოგადოთ სა-
ეკლესიო სფეროს, შენ უმნიშვნელო რამეთ სვთვლი-
დე და იმის შესახებ ორი ფურცლის წაკითხვაც
დროს დაკარგვათ მიგაჩნდეს; მავრამ მე მაინც იმედს
არ ვკარგავ და ამგვარი მკითხველის ყურადღებაც
მინდა ცოტა ხნით მივაქციო ჩემს შთაბეჭდილებას
და აი რატომ.

ახალი პთონის მონასტერი სულ სხვა დარგის
მონასტერია არათუ ქავკასიაში, არამედ მთელ რუსე-
თშიც ეს მონასტერი გამონაკლისს შეადგენს. მე
ბევრი მონასტერი მინახავს რუსეთში ცხოვრებისა
და მოგზაურობის დროს; ვნახე ლავრებიც, მაგრამ
ახალი პთონი სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს.
მე მარტო სარწმუნოების თვალსაზრისით და სულ-
ზე ზრუნვის მხრივ არ მიმიქცევია ყურადღება ახალი
პთონისათვის. ახალ პთონში მე ვნახე შრომის მო-
ყვარეობის ნაყოფი, აქ მე თვალწინ წარმომიდგა

უანარგო, ენერგიული, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ლრმა რწმენით აღჭურვილი ადამიანებისა.

ახალი პთონის ნახვით მე დავრწმუნდი, როგორ შეუძლია ისარგებლოს ბუნების სიმდიდრით ისეთმა ადამიანმაც, რომელსაც მეცნიერების სინათლე მხოლოდ შორიდან მიფენია და ახლოს კი მისი ცხოველმყოფელი გავლენა აო განუცდია. **ახალ პთონში** მე ვნახე კარგათ მოწყობილი მეურნეობა, რომელიც შედეგია ბუნების სიმდიდრისა და პატიოსანი ადამიანის უხვათ დალვრილი ოფლისა. ბუნებრივი ნიჭი, შრომის მოყვარეობა და უანგაროსაზოგადო მოღვაწეობა — ადამიანის სამკაულია და ვგონებ ეს თვისებანი ლირსებათ უნდა ჩაეთვალოს ყოველ ადამიანს, განურჩევლათ მისი პოლიტიკურ — სოციალური რწმენისა. **ამიტომაც მგონია,** რომ ყოველი მკითხველი, განურჩევლათ მისი მსოფლიო რწმენისა, მიაქცევს ყურადღებას მას, რაც მინდა მოკლეთ აღვწერო — და გაიზიარებს ჩემს შთაბეჭდილებას, თუ სასიამოვნოთ არა, ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ მაინც.

ერთი საინტერესო და საყურადღებო აღგილი შავი ზღვის პირას დღეს არის ახალი პთონი. **ახალი პთონი** მდებარეობს შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირს, **აფხაზეთში,** საღაც მდინარე სირტეა ერთვის შავ ზღვას, სოხუმიდან დასავლეთისაკენ 20

ვერსის მანძილზეა. მოკლე ისტორია ამ ადგილისა
შემდეგია:

სწორეთ იმ ადგილს, სადაც დღეს დიდებულათ
და საუცხოვოთ გაწყობილია ახალი პთონის მონა-
სტერი, წარსული საუკუნის დასაწყისში ცხოვრობ-
და ხასან მარლანია, ჩამომავლობით აფხაზი, სარწმუ-
ნოებით მამადიანი. ხასანს ყავდა ოთხი ვაჟი: ომარი,
მუსაფა, ტიტუ და ბატა. პირველი ორი მამადიანე-
ბი იყვნენ და მეორე ორი კი ქრისტიანები. რაღ-
გან იმ დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დიდი
შეტაკება იყო და— შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირი
ვის დარჩებოდა არავინ იცოდა, ხასანი ასე ფიქრო-
ბდა: თუ თათრებს დარჩა ეს ჩემი სასახლე—ორი
უფროსი შვილის წყალობით შემრჩება სიცოცხლეო,
რაღგან ისინი მამადიანები არიანთ და მათ თათრე-
ბი არ დასჯიანთ, — ხოლო თუ რუსებს დარჩა—უმ-
ცროსი შვილებით ვიპატიებ თავსო, რაღგან ისინი
ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებენ და რუსეთი იმათ
მფარველობას გაუწევსო. ხასანის სასახლის ახლო
ჩამოდიოდა მდინარე სირცხა და მთლათ ამ ადგილს
იჭით-აქეთ სირცხის ნაპირს ეძახდენ. ხასანის სასა-
ხლის ახლო იყო მამადიანთა სალოცავი ეგრე-წო-
დაბული ანუხა. ზეპირი გადმოცემით, სირცხას ნა-
პირზე პირველ საუკუნეში წმინდა მოციქული სი-
მონ კანანელი წარმართთა შორის ქადაგობდა ქრი-
სტეს სარწმუნოებას; საქადაგებლათ ქონდა ამორჩე-
ული ერთი ვაკე ადგილი, სადაც იდგა ერთი დიდი

ხე. დღე მოციქული ატარებდა დროს იქ, იმ ხეს
ქვეშ, და ლამ-ლამობით იმალებოდა იქვე ახლო მდე-
ბარე მთის ერთ გამოქვაბულში. სიკვდილის შემდეგ
მქადაგებელი მოციქული, როგორც ამბობს ზეპირი
გადმოცემა, დამარხა იმ ადგილას, რომელიც საქადა-
ბლათ ჭონდა ამორჩეული.

მეუქვე საუკუნეში იმ ადგილს აშენდა ეკლესია
წმინდა მოციქული სიმონ კანანელის სახელზე და-
სავლეთ საქართველოს ოხრების დროს, თათრებმა.
ნახვრათ დაანგრიეს ეს ეკლესია, როგორც ნიშანი
ქრისტიანობისა აფხაზეთში. აი ეს ნანგრევი, რო-
გორც ისტორიული ნაშთი, არსებობდა ხასანის დრო-
საც. არავითარი განსაკუთრებული ყურადღება სირ-
ცხას ნაპირს და არც ამ ისტორიულ ადგილს არ-
ექცეოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდი.

მესამოცე წლებში, როცა ჩერქეზები იყვენ და-
მორჩილებული, მოხუცი ხასანი თავისი ოჯახობითა
და ავლადიდებით წაიყვანეს იქიდან; მისი სასახლე
აოხრეს და ხირცხას ნაპირი მინგრეულ-მონგრეუ-
ლი და დაცარიელებული დარჩა, გავიდა 15 წელი-
წადი და აქ სულ სხვა ამბები დატრიალდა, -- აი
რანაირათ.

1870—72 წელს ქალაქ ნოვგოროდის ერთი
გამოჩენილი მდიდარი ვაჭრის შვილი იერუსალიმს
გაემგზავრა სალოცავათ. მამამ შვილს თან გააყოლა
სხვა მხლებელთა შორის ერთი თავისი გამოცდილი
და სანდო ნოქარი — ერონიმი. — იერუსალიმში მგზა-

ვრობაშ და გზაში ძველი პთონის ცხოვრების დათვა-
ლურებაშ თურმე დოფი შთაბეჭდილება. მთახოვნა
მგზვრებზე და საგრძნობელი გავლენაც იქონია.
ნოქარი მრონიმი თურმე მეტათ დააინტერესა მო-
ნასტრულმა ცხოვრებამ და კიდეც განიზრახა ბერათ.
აღკვეცა. მართლაც, მიიყვანა თუ არა ბატონის-
შეილი შინ, შაშჩნცე დაბრუნდა ძველ პთონს და შე-
დგა ბერათ. რამდენიმე ხანს იცხოვრა იერონმა
(ბერობაში იერონი ქვია სახელათ) ძველი პთონის
მონასტრებში, — თავისი ნიჭითა და რწმენით კიდეც
მიიქცია მოძმეთა ყურადღება. იერონს ფიქრათ მო-
სვლია ზოვი ზღვის პირათ დაერსებია პთონის მო-
ნასტრის განყოფილება (ПОДВОРЬЕ), რომელსაც მი-
ზნათ ექნებოდა ძველი პთონის მონასტრის გაძლი-
ერება განსაკუთრებით ნივთიერათ. ამ აზრის განსა-
ხორციელებლათ მას წამოუყვანია ორი ამხანაგი და
წამოსულია ადგილის ამოსარჩევათ. დაუთვალიერებია
ზავი ზღვის პირი და ბოლოს სამონასტროთ
ის ადგილი აურჩევია სირცხას ნაპირზე, სადაც ხა-
სანის ნამოსახლი იყო. სწორეთ ამ ადგილს, მიდო-
რზე, მაღლობით, მოგზაურ ბერებს დაუსვიათ ნიშა-
ნი. თავისი განზრახვა საჩქაროთ მთავრობისთვის უც-
ნობებიათ და ნებართვა გამოუთხოვიათ. იმ ადგი-
ლის, სადაც ბერებს ნიშანი დაესვათ, — და პირვე-
ლათ ლამე გაეთიათ, დღეს ძეგლია აგებული და
ზედ აწერია 1876 წელი ნოემბრის თვე. იერონის
თხოვნის გამო მთავრობა შეეკითხა მაშინ იმერების

ეპისკოპოს ნეტარხსენებულ გაბრიელს, (რომელსაც ექვემდებარებოდა მაშინ აფხაზეთი), გაქვს რამე საწინააღმდეგო თუ არა აფხაზეთში, სირცხას ნაპირზე, ძველი ათონის ბერებმა მონასტერი გააკეთონო? შოვლად საღვდელო გაბრიელმა ამ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაგზავნა:— მონასტერის დაარსების წინააღმდეგი არა ვარ და ჩემის მხრით ხელს არ შევუშლი. მაგრამ იმ პირობებით ვთანხმდები, რომ ბერებმა თავისი საჭმე აკეთონ და სხვა ინტერესებს, არ ემსახურონო.

1877 წელს ბერმა იერონმა თვითონ ორი ამხანაგი ბერის დახმარებით დაიწყო ახალი ათონის შენება. ასე რომ დღეს სრულდება 35 წელიწადი, რაც ახალი ათონი არსებობს. რა გაკეთებულა იქ ამ ხნის განმავლობაში და როგორ გაკეთებულა, ამას მოკლეთ აგიწერ, მკითხველო, და თქვენ თვითონ მიხვდებით, რამდენათ საყურადღებოა დღეს ახალი ათონის მდგომარეობა.

ზღვის ნაპირიდან მთის ძირამდი მიღის გზატკეცილი ქვაფენილით მოგებული, ისე ნიჭიერათ მოწყობილი, რომ ფეხითაც და ეტლითაც მშრალათ ახვალთ ზევით; არც ტალახი, არც სისოვლე არ შეგაწუხებსთ. გზატკეცილის ნაპირებზე გუნდის ხეებია გაშენებული და შიგ ფარნებია რკინის ბოძებზე დადგმული. შოველ ბოძს რკინისავე ლამაზი კიბე აქვს მიკეთებული. როცა ამას შეხედავთ უცებვაგახსენდებათ ზოგიერთ ქალაქებში საწყალი მეფა-

რნის მდგომარეობა, რომელიც როცა ფარნების ასანთებათ, ან დასაქრობათ. დადის, კიბეს ბეჭით თან დაათრევს. მთის ძირზე აგებულია ძვირფასი, ხელოვნურათ წაკეთები უმთავრესი ტაძრი მონასტრისა, ტაძარში ხუთი სამწირველოა, უმთავრესინაკურთხია წმინდა სასწაულთ-მომქმედი. და სნეულებისაგან გამკურნავი პანტელეიმონის სახელზე. ტაძარი ღიღებული შენობაა; დღეს პეტერბურგიდან გამოწვეული საუკეთესო მხატვრები შიგნიდან აკეთებენ კედლებზე ძვირფასს მხატვრობას. უმთავრესი ტაძრის ახლო არის მეორე ღიღი ეკლესია წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის სახელზე ნაკურთხი. ღრივე ეკლესია ძვირფასი ნივთებით არის შემკული. ეკლესიების წინ აშენებულია მაღალი ოთხკუთხი თლილი ქვის სამრეკლო; ძირა სართულში კიდია 420 ფუთიანი ზარი, რომლის ძლიერი ხმაც მღოცველებს იწვევს საღოცავათ. სამრეკლოს თავში ოთხი კუთხით საათებია მოწყობილი; ყველას ერთი მანქანა ამუშავებს და ყველა ბეჯითად აღნიშნავს დროს როგორც ბერებისათვის, ისე მომსვლელებისთვისაც. ეკლესიების გვერდით ორი უზარ-მაზარი შენობაა აგებული, სადაც 400 ბერია მოთავსებული საკუთარ სენაკებში. საბინაო ოთახების გვერდით ერთ შენობაში საავათმყოფო და აფთიაქი არის მოწყობილი, რომელსაც განაგებენ ფერშალი ბერები; აქვე მოწყობილია სამხატვრო სახელოსნო, სადაც მცოდნე ბერები ხატვენ ხატებს ქალალდა,

ტილოსა, ხესა და ქვაზე. მსურველებს უსასყიდლოთ
ასწავლიან მხატვრობას. მკლესის ეზოში არის ერ-
თი ძლიერ მაღალი, კოშკის მზგავსი ფრიად ლამაზი
შენობა, რომელსაც ჯვარის სახე აქვს. ნახევარი
კედლები ამ შენობის ფანჯრებათ არის გადაქცეული.
შენობაში შესასვლელი ეკლესის მოგაგონებსთ, შიგ-
ნით რომ შეხვალთ, თქვენს ყურადლებას იქცევს
ნამეტანი სინათლე, —ფიქრობთ, რომ თითქოგარეთ
ხართ. ჟველა კედელზე ძვირფასი მხატვრობაა: და-
ხატულია წმინდანები და საღვთო ისტორიიდან ამო-
ლებული ამბები. ჟოველი მხრით რიგრიგობით გა-
ლაგებულია სუფრები და სკამები. მს შენობა საერ-
თო აგრეწოდბული „საძმო“ სასაღილო ყოფილა,
საღაც ნიაღაგ 300 ბერი საღილობს, ხოლო აღდ-
გომის პირველ დღეს მთელი მონასტრის ბერობა იქ
იყრის თავს და ერთად იხსნილებენ. სასაღილოში
შესანიშნავი სისუფთავეა. მრთ კედელზე კიბეა მიშე-
ნებული და კიბის ზემოთ გუნდის ხის ორი ფიცრი-
საგან გაკეთებული კათედრაა, საიდანაც მორიგი
ბერი წმინდანის ცხოვრებას კითხულობს მაშინ, რო-
ცა სხვა ბერები სხედან და საღილობენ. სასაღილოს
სიღიადე, მხატვრობა და მოწყობილობა ქალაქის
საკათედრო ტაძრებს დაეჯერება. სხვა სიმშვენიერე-
სთან ამ შენობის პლანიც გააკვირვებს მნახველს თა-
ვისი ორიგინალური ხასიათით. მნახველი როცა
უკვირდება ყველა ამას, უეჭველათ იტყვის, რომ
ამათ საშვალება არ დაუზოგავსთ. და რაც კი გამო-

უფიქრია ოცნებას, ყველაფერი აღვილათ განუხორცი-
ელებჩათ.

ძირს ზღვის პირში 8 დიდი შენობაა აგებული.
მრი დიდი თასართულიანი შენობა სასტუმროთ
არის მოწყობილი. პირველ სასტუმროში, საღაც
ძვირფსათ მოწყობილია ცალკე თთახები — კერძო
„პირველ ხარისხოვან“ სტუმრებს ღებულობენ; მეო-
რეში, საღაც უფრო დაბალი ლირსების მოწყობი-
ლობაა, — და გარდა ცალკე თთახებისა, რამდენიმე
დიდი თთახებია მოწყობილი, იქ ღებულობენ ყოველ
„მეორე ხარისხოვან“ სტუმარს, მათ შორის მლოც-
ველებს, შემთხვევით მგზავრებსა და „ექსკურსან-
ტებს“. შიუხედავათ იმისა, ექსკურსია კერძო
ინიციატივით არის მოწყობილი, თუ რომელიმე
დაწესებულების ნებართვითა და მეთაურობით. სას-
ტუმროებთან თრი სასადილოა მოწყობილი, საღაც
ორას-ორასი კაცი საღილობს ხოლმე. ტქვე თრი
დიდ შენობაში ბერების პინაა მოწყობილი; აქაც
ისე, როგორც ზევით, მთის ძირზე, ყველას საჭუ-
თარი სენაკი აქვს მიცემული და საერთო სასადილო.
ტქვეა ერთი ეკლესია, რომელშიც ყოველდღე რიგ-
რიგობით ბერები ასრულებენ წირვა-ლოცვას; ჩვეუ-
ლებათაა დადევებული, რომ ამ ეკლესიაში ცისკარი
ნაშვაღაშვის 2 საათზე იწყება და წირვა ყოველ-
თვის გათენებისას თავდება. ეკლესიის ზემოთ ერ-
თი თასართულიანი შენობაა, საღაც შკოლაა გა-
მართული; შკოლაში სწავლობს 30 ბავში ჩამომავ-

ლობით აფხაზები. ბავშებისთვის „პანსიონია“ მოწყობილი და ყველაფრათ მონასტრის ხარჯზე ინახებიან. შკოლის შენახვა რაღაც მოსაზრებით თურმე სამძიმოთ მიაჩნია მონასტრის წინამძღვარს, — ამიტომ შარშან სოხუმის ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება გაუმართავს და ასეთი წინადადება მიუკია: მიძღეთ შკოლის და „პანსიონის“ მოწყობილება, წაიყვანეთ 30 ბავში და წლიურათ თითოში 200 მანეთს მოგცემთო. ამ წინადადებაზე ქალაქის გამგეობას უარი განუცხადებია. ნამდვილი მიზეზი, თუ რათ უძნელდებათ მონასტერში შკოლის მოვლა და რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, როცა შკოლა ქალაქს უნდა გადასცენ, — არ ვიცით. მრთი შეხედვით შკოლა კარგ ადგილზეა და რიგიც არის, რომ ისეთ მონასტერში, როგორიც დღეს ახალი პათონია, თუ მეტი არა ერთი განმანათლებელი დაწესებულება, — შკოლა მაინც იყოს — და თუ შკოლის არსებობა ხელს უშლის ბერების შინაურ ცხოვრებას, ან რამე წესიერებას, მაშინ რა თქმა, უნდა შკოლა უნდა მოაშორონ და ნივთიერათ შეეწიონ მოსწავლე თაობას. ჟოველ შემთხვევაში ეს საკითხი რაღაც გამოურკვეველი დარჩა ჩემთვის და ვერც შევკრიბე ცნობები ამის შესახებ, რადგან წინამძღვარი — იერონიმავათ იყო და პირადათ ვერ ვნახე, სხვამ კი არ იცის ნამდვილი ვითარება საჭმისა, რადგან იერონის თურმე ბევრი რამ საიდუმლო აქვს შენახული.

მრთ სასტუმროს ქვედა სართულში გასტრონომიული მაღაზიაა გახსნილი, სადაც მიმსვლელთ შეუძლიათ საოჯახო ავეჯეულობა და სურსათი შეიძინონ, რა თქმა უნდა გარდა ხორცეულობისა; ფაიფურის და ლითონის ნივთებზე ჭიქაა იგი თუ საინი, საშაქრე თუ საჩაირე—ყველაზე პთონის რომელიმე შენობა ან კუთხე არის გამოხატული ზედწარწერით: ასე რომ მყიდველი ერთსა და იმავე დროს თავისი მოგზაურობის სახსოვრათ ოჯახში საჭირო ნივთსაც იძენს. მს ნივთები წელიწადში ათასობითა და ათი, თასობით იყიდება თურმე. გასტრონომიული მაღაზიის გვერდით გემების სამართველოს კანტორებია მოთავსებული. სასტუმროზე ცოტა მოშორებით არის ერთი მორჩილი შენობა, რომელშიც მოთავსებულია „აგრეწოდებული“; „მონასტრის დუქანი“. დუქანში აწყვია სხვადასხვა ხატი ხესა, ლითონსა, ქვასა და ტილოზე დახატული; „აგრეთვე ჯვრები ხის, სარდაფის, ოქრო-ვერცხლის“ და სხვა ლითონის; „ადგილობრივი ხისგან (ურთხველა ან სოჭი) გაკეთებული კოვზები ზედწარწერით; ბზის ხისაგან გათლილი ნივთები; ზღვაში აბოჭილი ქვებისაგან, სარდაფისაგან და ზღვის ლოკოვინას ბუდისაგან გაკეთებული ნივთები; კოლოფები, შანდლები, საწერლები, და სხვა; სარდაფის, გიშრის, ქვის, ქსოვილებისაგან და ქვებისაგან გაკეთებული კრიანოსნები და სხვა ორიგინალური ნივთები. ამ დუქანში ისეთი გამბული ვაჭრობაა,

რომ გაკვირდებით. იშვიათი მგზავრი გამოვა დუქ-ნიდან ხელცარიელი. ვერ ვიტყვი, რომ ნივთებს თუ ფასათ იძლეოდენ, ასე რომ შემოსავალი დუქ-ნის, ყოველ ეჭვს გარეშე, კარგი უნდა იყოს. დუ-ქანზე მოშორებით ერთი ცალკე შენობაა, საღაც ფოშტაა მოთავსებული. მქენე მახლობლათ ცალკე შენობაში შესანიშნავათ მოწყობილი მარანია მო-თავსებული. ვენახებიდან მარნამდი რკინას ლიანდა-გია გაყვანილი და ყურძნით სავსე ვაგონებთ პირდა-პირ მარანში შეაქვს ცხენებს. საწნახლები, ჭურები, საწურავი მანქანები, ლენკტრონის საშვალებით ჭურჭლების რეცხა-წმენდა და ყველაფერი გემოზეა მოწყობილი.

მთონის მშვენებას შეაღვენს, სხვათა შორის, თთხი ძვირფასათ მოწყობილი ბალი. მრთი ბალი. ზომით ხუთი ქცევა, მარტო ლიმონისა და ფორ-თოხლისაა. ბალში ექვსი აუზია მოწყობილი აქედან წყალია მილით გაყვანილი და სისტემატიურათ ირ-წყვის მთელი ბალი. ლიმონია და ფორთოხალს ძლიერ უვარვია მთონში. მრთ ფორთოხალს 250 მოუბამს. შარშანდელი 1911 წლის ჭამთარს დიდი ვნება მოუტანია, რაბოდენიმე მირი ლაუმტვრევია, ხანგრძლივ თოვლისა და სიცივებს ბევრი გაუხმია, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია და ამ ზარალს არ შეუშინებია ბერები. მეორე ბალი სივრცით ორი ქცევაა და მეტათ ლამაზათ არის გაშენებული. მს ბალი გავსებულია უცხო ხეებით, ყვავილებით და

ხეხილებით; შუაში შადრევანია მოწყობილი და ქვეშ
დიღი აუზია სავსე წითელი თევზებით. ჩოცა ამ
ბალში შედიხართ, გხვდებათ ვინმე ბერი დიმიტრი,
რომელიც დაწვრილებით გახსნისთ უცხო მცენარე-
ების ჯიშს, თვისებას, მნიშვნელობას და სარგებ-
ლობას. არ გეგონოს, მკითხველო, რომ ის მებაღე
მარტო კაჭკაჭივით დაზეპირებულს სიტყვებს და სა-
ხელებს ამბობდეს, არა, ის დაბეჯითებით გეუბნე-
ბათ—საიდან არის მოტანილი, ან გამოწერილი ესა-
თუ ის მცენარე; როგორ არის იგი ნაცადი რა შე-
დეგი მოყოლია მათ ცთას რა სხვა. მებაღე ბერს,
შართალია, ბოტანიკისა და ფარმაციის მეცნიერუ-
ლიად შესწავლის ნიშანი არ იკერია, არც უნივერ-
სიტეტის დიპლომი უდევს ყუთში, მაგრამ ბუნებრი-
ვი ნიჭიერება, გულმოდგინებით და შრომით შეძე-
ნილი ცოდნა და გამოცდილება კი ეტყობა. ბერს
ეტყობა, ბუნება შეყვარებია, ბუნებაში ბევრი სა-
გულისხმო რამ შეუმჩნევია და ამით მსმენელს ყო-
ველთვის დააინტერესებს. ~~წრფელის~~ გულით ბევრს
ჩვენ დიპლომიან ბუნების მეტყველს ვურჩევ, პრაკ-
ტიკულათ დაუახლოვდეს ბუნებას და იქიდან ამო-
ლებული საინტერესო ცნობები გადაგვიშალოს თვალ-
წინ. მს ყველაზე ითქმის და კავკასიელ ბუნების
მეტყველებზე მით უმეტეს. აქ უადგილო არ იქნე-
ბა გავიხსენოთ პატივცემული პროფესორის პოვა-
ლევსკის სიტყვები. თავის მოგზაურობის აღწერაში
იგი ამბობს, რომ მუთაისიდან აბასთავემნამდი ერთი

შეუწყვეტელი ბალია, რომლის დათვალიერება და
შესწავლა დიდ სიამოვნებას მისცემს კაცსო. უცხო
კაცი ასე აფასებს ჩვენს ქვეყანას და აქაურებს კი
აჯამეთი, ბალდათის მხარე და პბასთუმანში გადასა-
ვალი გზა, მთის წვერზე, არაფრათ არ მიაჩნიათ.

მესამე ბალი უმთავრესი ეკლესიის გალავანთან
არის; იქ განსაკუთრებით უცხო ხეებია მოშენებუ-
ლი. შოველგვარი ხის და ხეხილის ფშანები (ნერ-
გები) იყიდება პთონში და თურმე ბევრიც მიაქვთ
სხვადასხვა ადგილში. მსეც ერთგვარი შემოსავლის
წყაროა მონასტრისათვის.

მეოთხე ბალი ზედ მთის ძირზეა გაშენებული
კლდის ქვემოთ. მს ბალი ეზოთ აქვს ერთ ცალკე
აშენებულ შენობას, სადაც პინა აქვს ხოლმე სო-
ხუმის ეპისკოპოზის, როცა იქ მიდის. აქვეა პინა სხვა-
ეპარქიებიდან მოსული ეპისკოპოზებისთვისაც. ასე
რომ ეს სახლი და ეს ბალი „საეპისკოპოზოთ“ იწო-
დება. ბალში ხელოვნურად ჭვიტკირის ფაჩატურია,
გაკეთებული, რომელიც ყვავილებით არის დაფარუ-
ლი და შიგ პატარა შადრევანი ამოქუხს, ქვეშ პა-
ტარა აუზია და წითელი თევზები ნავარდობენ.

ცალკე ბალათ არ ჩაითვლება, მაგრამ გამოსატოვე-
ბელი არ არის ერთი ჭბალჩა, რომელიც ზღვის პირას
არის და უცხო ყვავილებით არის სავსე. მს ბალჩა
ყვავილებისა და ბალახების კოლექციას მოგაგონებს.

დანარჩენი ადგილი, რაც კი მონასტრის მიღა-
მოშია, სულ ზეთის ხილიო და დაფნით არის სავსე.

30 ქცევა ზეთის ხილის ბალებს უჭირავს. ზეთის ხილის ნაყოფი -- უმთავრესი საზრდოა მონასტრისთვის; ყოველ წლივ უზომო ზეთის ხილი მოსდით თურმე, ერთ ნაწილს კაკლათ ამარილებენ და ინახავენ სარდაფებში, ერთი ნაწილისაგან ზეთს ხდიან.

მრთი სიტყვით მთელი კუთხე მთის. მოფენება 300—400 ქცევა ერთიანათ ბალს წარმოადგენს, რომელშიც ძვირფასი და ლამაზი შენობებია ჩადგმული. მდინარე სირცხის მარცხენა ნაპირი ერთი ვერსის მანძილზე საბოსტნეთ არის გამზადებული. ნახევარზე უკვე გაშენებულია ბოსტანი, რომელიც საუკეოესო ჯიში ბოსტნეულით არის სავსე. საჭიროება ბოსტანი მონასტრისთვის, რადგან მარტო კომბოსტო წელიწადში 2000 ფუთია თურმე საჭირო.

მდინარე სირცხა გადმოყვანილია და. ზღვის პირას სამი დიდი აუზი არის გაკეთებული, თითო 20 საუენი სიფართით. მრთი მორევიდან წყალი მეორეში გადის, მეორედან მესამეში და მეორე ზღვაში შედის. აუზებში მუდამ ახალი მდინარის წყალია და გეგონებათ ბუნებრივათ ასე მოწყობილია. აუზები სავსეა სხვადასხვა გვარი თევზით. აუზებში დაცურავენ თეთრი გედები. აუზების შუა ამათვის კუნძულებივით პატარა ბუჩქნარია გაკეთებული, სადაც ცურვის შემდეგ შევლენ გედები და ფრთებს ირეკენ. აუზების გვერდით ერთი პატარა საყარაულოა, სადაც დაბინავებულია ერთი მოხუცი დარაჯი; დარაჯის მოვალეობაც ისაა, რომ გედებს საზღო მი-

აწოდოს ხოლმე, თვალყური ადევნოს, მოუაროს და ხელი შეუწყოს მათ მოშენებას. გედების მოშენება სასარგებლო ყოფილა, რაღაც წყლის (დედალ-მამალს) 25 მანეთად ყიდიან. დარაჯი ძალიან შეჩვევია გედებს; როგორც კი მოატანებენ თვალს მოხუცს, მაშინვე მისკენ მიეშურებიან, ისიც ჩაჯდება ტირიფის ძირას აწვდის მათ საზრდოს: მოხარშული სიმიღის მარცვლებს, გამომცხვარი პურის ნატეხებს, ჭიებს და სხვა. მოხუცი ხანდახან ნისკარტს უჩხრევს გედებს და აცლის გაკვეხებულ ჯოხებს ან გძელი ბალახების ძირს და თანაც რაღაცას ებუტბუტება; გედებს თითქო ესმის რა. მოხუცის ბუტბუტი და თვითონაც ეხვევიან გარს და შეკივიან. ამ სურათს რომ მისჩერებიხარ, ზღაპრულ თქმულებას გაიხსენებ. აპოლონ ტიანსკიზე რომ არის ნათქვამი, მხეცებისა და ფრინველების ენა იცოდაო:

აუზების ირგვლივ სასეირნო გზატკეცილებია გაკეთებული, რომელზედაც სეირნობენ მიმსვლელნი და სტკბებიან ერთი მხრით ზღვის ყურებით, მეორე მხრით აუზებში წყლის ჩხრიალით და წყალში თევზების ნავარდობით.

მდინარე სირცხა წყაროთ ჩაითვლება. რაღაც ზღვის ნაპირიდან სამი ვერსის სიშორეზე კლდიდან გამოქუხს. სათავიდან ცოტა მოშორებით მდინარის ერთი ნაწილი არის გადმოყვანილი და ხელოვნურათ ერთ კლდეზე 20 საუენის სიმაღლიდან გადმოგდებული. ძირს არის ელეკტრონის მანქანა მოწყო-

ბილი, სადაც ბლომათ გროვდება ელეკტრონის ძალა და აქიდან გაყვანილია სხვადასხვა მხრით.

აირა საქმეები კეთდება ამ ელეკტრონის მანქანის საშვალებით: იგი ამუშავებს ლითონის ჩამოსასხმელ სახელოსნოს, სადაც კეთდება სხვადასხვა ნიკთი, სამუშაო იარაღები, ნავების გასაწყობი მასალა; ამუშავებს მეორე სადურგლო სახელოსნოს, სადაც ყოველ ხის მასალა კეთდება და ხის ავეჯეულობა მზადდება; აქვე კეთდება ნავები რჩეული მასალისაგან. ჟველაფრათ დამზადებულ მასალას ჩაიტანებენ ზღვის ნაპირზე და იქ სპეციალურათ აგებულ ფარდულ შიგაამზადებენ ნავს და შეუშვებენ ზღვაში; თითონ ნავი, უმანქანოთ ღირებულა 600 მანეთი, მანქანით კი 1300 -- 1600. მლეკტრონისვე საშვალებით მოქმედობს სანთლის ქარხანა, სადაც წმიდა თაფლის ცვილისაგან საუკეთესო ღირსების სანთელი მზადდება. სანთლის ქარხანა და სახელოსნოები კარგათ მოწყობილ საკუთარ შენობაშია მოთავსებული უმთავრესი ტაძრის ჩრდილოეთის მხრით, ასე როგორ ელეკტრონი ერთი ვერსის მანძილზეა აყვანილი ძირიდან, მდინარის ნაპირიდან. მრთი ნაწილი ელეკტრონისა გადაყვანილია მდინარის მეორე ნაპირს და ამუშავებს ორსართულიან ქვიტკირის შენობაში მოწყობილ ორთვალ წისქვილს და პურის საზელ განყოფილებას. წისქვილი მართლაც საგულისხმოთ არის მოწყობილი: ზევით სართულში ტრიალობს ორი ქვა, სიფართით თითო ერთი საჭენი, ქვედა სართულში საჩი-

ბე დგას, სადაც იყრება ფქვილი. თითო თვალი წი-
სქვილი საათში ფქვავს 65 ფუთს. წისქვილების გვე-
რდით, ერთ დარბაზში დგას თავლია ოთხკუთხი დი-
ლი თარო, რომელშიც ჩადებენ შემზადებულ საფუ-
არს და დაყრიან 18 ფუთ ფქვილს. თაროს სწო-
რა არის ჩამოშვებული რკინის გძელი ფთებიანი ისა-
რი. ეს ისარი მოდის მოძრაობაში ელეკტრონის
საშვალებით, სისწრაფით ურევს ცომს და 20 წუთის
განმავლობაში იზილება 18 ფუთი პურის ცომი. სა-
ზელი განკუთილების ახლო ცალკე შენობაში ორი
ფურნეა მოწყობილი. თითო ფურნეში საათში ცხვე-
ბა ოცთაათი ფუთი პური. ბარდა ამისა ელეკტრო-
ნით განათებულია ყველა შენობა, სასტუმრო, ბინა,
სასადილო, სახელოსნო მარანი და ეზოც. ეს არ
უკმარებია ბერებს და ელეკტრონის საშვალებით კი-
დევ ფიქრობენ ერთ შესანიშნავ გაუმჯობესებას-
რომელზეც ქვევით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას:

იმ ადგილას, სადაც ელეკტრონის მანქანაა და
წისქვილებია მოწყობილი, მდინარე სირცხა შეგუბე-
ბულია და ხელოვნურათ 10 საუენის სიმაღლიდან
გადმოგდებულია, ასე რომ ჩინებული წყალ-ვარდნი-
ლი გაკეთებულია. საუცხოვო სურათს წარმოადგენს
ეს წყალვარდნილი. წყალვარდნილზე აივანია გაკე-
თებული, სადაც ლამაზი გათლივლი ქვის კიბით აბ-
ძანდებით; წყალვარდნილის ახლო ხეებს ქვეშ მწვა-
ნე მიღორია, ზაფხულობით დილიდან საღამომდი
არიან აქ მოუკენილი სხვადასხვა კუთხიდან მოსული.

მგზავრები და სტკბებიან ამ სურათით, ზოგი წყალზარდნილის ზევით აივანზეა გადმომდგარი და იქიდან დაჩერებებია ამ სურათს, ზოგიც ძირიდან შეჩერებია. შველას სახეზე დიად სიამოვნებას წაიკითხავთ. და მიახლოვებით ყველა მაყურებელი ერთ გრძნობას განიცდის. რომ ჩაიხედოთ მაყურებელთა გულში ერთსა და იმავ სიტყვებს ამოიკითხავთ: „რა კარგია ბუნება, რა მშვენიერებაა ქვეყნიერება, ნეტავ სულ ასეთ ადგილს მამყოფაო და სხვა...“

ერთ მშვენიერ დაუვიწყარ დილას ჩემი თვალის წინ ასეთი სურათი დაიხატა. მწვანე მოლზე, წყალვარდნილის წინ, მოეფინა ქართველ მოგზაურ ქალთა გუნდი და, ცოტა ხნის სიჩუმეს შემდეგ, მშვენიერი, ტკბილი შეწყობილი ხმით და გულის სიღრმემდი ჩამწდომი ნაზი კილოთი ქართული სიძლერა გაისმა. ეს ჰარმონიული, კეკლუცი და ნაზი სიმღერა ტკბილათ შეეწყო ჩქერის ჩხრიალს და თითქოს ერთად შეზავდა, რომ უფრო მოეხიბლა ადამიანის ყურთა სმენა.

ამ არმონიულმა სიმღერამ მაყურებელთა ყურადღება დაატკბო, იფიქრებდი, მკითხველო, თითქოს ქართული სიმღერა განზრას ბუნებასთან საბაასო იარაღი ყოფილა და სწორეთ ბუნების მორთულობის გამოშატველ და გამოსათქმელ ორგანოთ მოვლენილი დედამიწაზეო. პი ეს იყო სწორეთ ის მომენტი, როცა ადამიანი ბუნების ზედგავლენით მაღლდება და ერთ და იმავ დროს სრულ სიამოვ-

ნებას განიცდის, როდესაც ადამიანი, როგორც ამ-
ბობს ლერმონტოვი ივიწყებს ყოველ გვარ მწუხა-
რებას და ნეტარების ელფერით სუნთქავს. მეტათ
შესაფერი იყო ამ დროს საამური ხმით მღერა ასეთი
სიტყვების:

რა კარგი რამ ხარ, ჩემო საშმობლო,

ლამაზი, ტურფა და მოკაზმული

მაგრამ რამდენათ მშვენიერი ხარ,

იმდენათ უფრო მიკვდება გული...

ამ სიტყვების გაგონებაზე თავის თავათ წარმო-
გიდგება ცხადათ სიტყვები:

აყვავებულა მდელო

აყვავებულა მთები

მამულო საყვარელო,

შენ როსლა აღვავდები?..

წყალვარდნილის ახლო არის. შეკეთებული და
განახლებული ძველი ნანგრევი იმ ეკლესიისა, რო-
მელიც როგორც ზევით ვსოდებით, მეექვსე საუკუ-
ნეში უნდა იყოს. აშენებული ვითოვ წმინდა მო-
ციქულის სიმონ პანანელის საფლავზე. წყალვარ-
დნილის გვერდით, კლდეში ერთი სარდაფია გაკე-
თებული, რომელსაც თურმე ის დანიშნულება ქო-
ნია, რომ ჩადებული კიტრი და სხვა წნილეულობა
კარგათ შეინახოს ზამთარ-ზაფხულს.

მდინარე სირცხას ნაპირზე მიღის საცალფეხო
გზა და მიაღვება ერთ მაღალ კლდეს. ამ კლდეში
მაღალზე ყოფილა გამოქვაბული, საღაც ძირიდან

შესასვლელი არ ყოფილა უწინ; მხოლოდ ზევიდან, მთის წვერიდან ჩამოდიოდა თურმე აღამიანი. ზეპირგადმოცემით, ამ გამოქვაბულში იმაღებოდა ღამლამობით მწკიქული სიმონ ჭანანელი. 8ილაც მლოცველს უთქვამს ეს ამბავი თფილისში ერთი მდიდარი ღენერლის ცოლისთვის. მს ქალი ღრმა მორწმუნე ყოფილა, მას განუზრახავს ათონში ჩასვლა და ამ კლდეში შესვლა. მართლაც, ჩამოსულა ათონში ეს ქალი და მისულა კლდესთან, მაგრამ შიგ ვერ შესულა. შემდეგ განკარგულება მოუხთენია, რომ მისი ხარჯით იმ კლდეში შესასვლელი გზა გაეკეთებიათ. მორწმუნე ქალის სურვილი მაღე აუსრულებიათ და საჩქაროთ გაუკეთებიათ მისავალი გზა. შემდეგ რკინის მოაჯირებით აღუმართავთ კიბე 260 ქვის საფეხურიანი; გამოუჭრიათ კარები და დღეს პირდაპირ შეხვალთ კლდეში. ის ნახვრეტი, საიდანაც უწინ მთის წვერიდან ჩამოსული ადამიანი შედიოდა, დღეს ზევიდან ფანჯრათ მოქცევია გამოქვაბულს. გამოქვაბული შიგნი ოთახისნაირია და შიგ მარტო ქვის საწოლია მეტი არაფერი.

სირცხას მეორე ნაპირზე წისქვილისა და სახაბაზოს ახლო შეკავებულია ოთხფეხი საქოლნისათვის ქართა, ფარები. იქ დაინახავთ მშვენიერათ მოწყობილ ბოსელს, სადაც აბია 38 ძროხა ადგილობრივი ჯიშისა. იქვეა ერთი სრული თავლა, საღაც აბია 12 ცხენი საუკეთესო ჯიშის. ცხენები ყველა ძვირფასია, თითოს ფასია

200 მანეთიდან 700-მდი. მოხფეხების მომვლელათ
მცოდნე ბიჭებია დაქირავებული. თავლისა და ბოს-
ლის პლანი და სისუფთავე საყურდლებოა.

იქვე ერთ ცალკე შენობაში დამწყვდეულია
რწყვილი (დედალ-მამალი) შველი, უფიქრიათ შველის
მოშენება და ცალკე დარაჯი მიუციათ ამ ბინისთავის.
ჯერჯერობით არის ერთი პატარა კალმით მოხატუ-
ლი, ლამაზი ნუკრი. შართაშივე დაინახავთ კარგი
ჯიშის ღორებს და სხვადასხვა ჯიშის ქათმებს. რამ-
დენიმე ფარშავანგიც არის, მაგრამ ფარშავანგები იმ
ეზოში არ ჩერდებიან და თვით მონასტრის გარშემო
ეზოში არიან. ხანდახან მაღალ გუნდის ხეებზე სხე-
დან და ცივი ხმით ყვირიან. შართაზე მობმულია
საბალახე საკუთარი წყლით, ზომით 40 ქცევა, იქ
ძროხებს გარდა თხა-ცხვრის ჯოგი ბალახობს. თხა-
ცხვარი, ღორი და ქათმები გასასყიდლათ არის მოშე-
ნებული თვარა თვით ბერებისთვის საჭირო არ არის,
რადგან ყოვლად შეუძლებელია, რომ იქ, არა თუ
თვითონ, სხვასაც მისცენ საზღვაო ხორცეულობა.

საბალახეს გვერდით შემოზღუდულია ოცდაათი
ქცევა მიწა, სადაც ნახევარზე უკვე გაშენებულია
ვენახი და სამურაბე ხეხილები, ნახევარიც ახლა
მზადდება.

ვენახში რომ შედიხართ, გხვდებათ ვინმე ბერი,
რომელიც, როგორც გამოცდილი მეურნე, გიწყებსთ
ყოველი გარემოების ახსნას. პირველათ უმთავრესი
ტაძრის ზევით ორ მთას შუა პატარა ვაკე აღგილზე

დაუმუშავებიათ სამი ქცევა მიწა და იქ საცოცლათ გაუშენებიათ ადესის ყურძენი. მს ყურძენი გამომდგარა და დღეს ის ვენახი, კარგათ მოწყობილი საბინაო სახლით, ჩაბარებული აქვს სამუშაოთ რამდენიმე ბერს. ადრევე უგვრძნიათ, რომ ეს ვენახი მომავალში ვერ დააკმაყოფილებდა მონასტრის მოხსოვნილებას და იმიტომ ეს დიდი ადგილი შემოუკავებიათ და შედგომიან დიდებული ზვარის გაშენებას. შეციათ ყოველი ჯიშის ყურძენი და დღეს გაშენებულათ ითვლება: ციცქა, საფერე, კაბერნე, მწვანე, ალიკოტე, რქაწითელი, ძველი შავი და სხვა. მებალე ბერს ესმის ქართული და ისიც კარგათ იცის იმერეთში რა ადგილზე რა ყურძენი უკეთ ხარობს და რატომ; დაწვრილებით იგისნით, რა თვისება აქვს იქაურ ნიადაგს, ან რა უპირატესობა ერთ ჯიშს მეორესთან, როგორი მოვლა სჭირდება ამა თუ იმ ვაზს, რა სნეულებას განიცოს ვაზი და რა საშვალებით რა სნეულებას შემოევლება, — ყველაფერს ბეჯითად ამბობს მებალე ბერი და კიდევაც ასაბუთებს თავის არზს სხვადასხვა სამეურნეო გამოცემიდან ამოღებული ცნობებით. ვენახის გვერდით მრავალი ხეხიალია გაშენებული. მრთმა მოგზაურმა უჩვენა მებალეს ტყემალი და კითხა, იცით რომ ამისაგან მურაბას ვაკეთებთო! ბერმა მიუთითა ერთგვარ ხეზე და უპასუხა: „ჩვენ სამურაბეთ ეს ქლიავი (ვენგერკა) გვაქვს გაშენებული ბლომათ და ტყემალზე შრომით თავს არ ვიწუხებთო“. მართლაც ეს სამურაბე ქლიავი ტყესავით მოუშენებიათ.

Зენახში ჩადგმულია მშვენიერი შენობა – ბინა მებალისა და მუშების, და საზაფხულო ფაჩატური. 3ენახში იქა-აქ ხედავთ საყარაულო კარვებსაც.

3ენახიდან მიღის გზატკეცილი ივერიის მთისკენ; გზატკეცილი სამი ვერსი და 350 საუენია; მთის კალთებში ძველი ნანგრევებია, წვერს რომ დაუახლოვდებით შეამჩნევთ ერთი დიდი ციხის ნანგრევს, რომელსაც როგორც ჩანს ძირს ირგვლივ გალავანი ქონია, ცხადია ოდესმე მთელი მთის წვერი ყოფილი გამაგრებული. წვერზე რომ ახვალთ, ნახავთ ერთი ეკლესიის ნანგრევს. ამ ნანგრევის წინ ყოფილი ექვსი ერთმანეთზე მიწყობილი საფლავი, იქიდან ამოულიათ ძვლები და ჭვიტკირის კედელში გამოჭრილ სილრმეში ჩაუყრიად და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთებიათ: „Мы были какъ вы, вы будете какъ мы“ – ჩვენ თქვენსავით ვიყავით, თქვენც ჩვენსავით ჯახთებით.

ამ ნანგრევის განახლება განუზრახავს მონასტრის წინამძღვარს და შესაფერი შვადგომლობა აღუძრავს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წინაშე, მაგრიმ არქეოლოგიურ საზოგადოებას უარი უთქვამს და ნება არ მიუცია, ასე რომ ეს სიძველე დღესაც ისეა, როგორც ყოფილა, მხოლოდ გარშემოა შემოზღუდული და დაცული. რადგან ნანგრევის განახლების ნება არ მიუღიათ წინამძღვრის განკარგულებით ნანგრევის ახლო პატარა სამწირველო აუშენებიათ. მთის წვერზე წყალი არ არის და რად-

გან სხვა მხრით წყალი ძლიერ შორს არის, ამიტომ
მიწაში—(კლდეში) ერთი დიდი აუზი ამოუჭრიათ,
სადაც წვიმის წყალი გროვდება და ინახება. აუზი
ღრმათ არის გაჭრილი და ცემენტით ამოშენბული,
ამიტომ წყალი გრილათ ინახება, ასე რომ წვიმის
წყლათ ვერ იცნობი. შეიძლება ეს წყალი მავნებელი
იყოს— ეს ქიმიურათ არ გამოგვიკვლევია, მაგრამ სუნი
და გემოვნება წყალს ისეთი არა აქვს, რომ იფრქროთ
ის წვიმისაა ან დამდგარიო. იქვე არის ერთი პატა-
რა სასტუმრო, სადაც ჩაის მოწყობილობაა მზაო და
ბერები ჩაით უმასპინძლდებიან სტუმრებს. იქვე გა-
კეთებული ერთი გაღმოსახედავი აივანი, საიდანაც
სწორეთ საუცხოო სურათი დაგეხატებათ თვალწინ.
დაჩერებიხართ მთელი პთონის მიღამოს, როგორც
ხელოვნურათ ყვავილებისაგან შემკობილ თაიგულს.
შენობები, ყვითელი მოლაპლაპე გუმბათიანი საყდრე-
ბი, სხვადასხვათერათ აყვავებული ბალები, ლურჯ
და მწვანე მიღამოზე თეთრი ხაზებივით გავლებული
გზები, გუნდის ხეებით შეზღუდული მოჩქეფარე მდი-
ნარე სირცხა მაღალი წყალვარდნილით, ხეებში ლუ-
რჯათ გამდგარი აუზები— ყველაფერი ერთად ისეთ
მთლიან რასმე წარმოადგენს, რომ ვერ იტყვით,
რაღა აკლია ამ სურათს, ან რა უნდა მოემატოს
კიდევ, რომ შთაბეჭდილება უფრო ცოცხალი და სა-
გრძნობელი იქნესო. იქიდან დაცერი სოხუმსა და
ოჩამჩირისაკენ მიმავალ გზატკეცილს, რომელიც
ზღვის ამწვანებულ ნაპირზე მიხვეულ-მოხვეული ხა-

ზივით არის გავლებული; იქით მოჩანს თვალგადაუწვევენელი შავი ზღვა, რომელზედაც ვინ იცის ფერადი კა რამდენაირ ცვლილებას არ ახთენს და ბრწყინვალე მზე რანაირათ არ აშუქებს მღელვარე წლების ზვირთებს. სწორეთ საუცხოო სურათი იშლება თვალწინ, როცა მთის წვერიდან დაჩერებიხართ პთონს და მის მიღამოს! მს უნდა გამოსცადო, კაცმა, რომ სავსებით იგრძნო ის სიამოვნება, რომელიც მნახველმა გამოსცადა. ხედავ ამ სურათს და თან ფიჭრობ, რა დიადია ბუნება, რა მდიდარია ქვეყანა ყველაფრით, რა სიამოვნებას განიციის კაცი თუ კი ბუნებას დაუახლოვდება, რა შეუძლია აღამიანის ხელს და ენერგიას, თუ კი იხმარა აღამიანმა ის გონიერება, რომ თავისი ძალა ქვეყნის მოწყობას და გამშვენებას მოანდომა და არა სხვა რასმე უსარგებლოსა და უცნაურს!!!

აი, ეს მთის წვერო არის ერთი საინტერესო ადგილი პთონში, მაგრამ სიშორის გამო იქ ახლა ბევრს უჭირს ასვლა. მტლი ადის, მაგრამ ძვირია, რაღგან სამი ვერსი და 350 საუენი სულ აღმართია. ახალ პთონიდან, სწორეთ იმ ადგილიდან, სადაც ელეკტრონის მანქანა დგას და სადაც წყალვარდნილია გაკეთებული, ფუნქციულიორი კეთდება. მს იქნება კიდევ ერთი გაუმჯობესება ელეკტრონის წყალობით გარდა იმისა, რაც ზევით ვსოდებ. ფუნქციულიორისთვის ვზა მთაზე გაკაფილია, რკინის ბოძები დასობილია, მთის წვერზე საჭირო პლატფორ-

მა უკვე კეთდება, ასე რომ ფუნქციულიარი მაღვე და
წყებს მოქმედებას. ფუნქციულიარის გზა 220 საუ.
იქნება; მაშინ როცა გზატკეცილი, მთის კალთებზე
მიხვეულ-მოხვეული თითქმის ოთხი ვერსია.

პთონის მთის წვერიდან რვა ვერსის მანძილზე
არის საშეშე ტყე, იქ არიან დაბინავებული 30 ბერი,
რომელნიც ნიადაგ ამზადებენ შეშას. ტყესა და მთის
წვერ შეა გაუყვანიათ რკინის გზა, რომელზედაც
ერთი პატარა ორთქლმავალი აგრე წოდებული „კუ-
კუშა“ თითქმის მუდმივ ზიდავს დამზადებულ შე-
შას მთის წვერამდი, იქიდან კი შეშა მთაზე დაგებუ-
ლი ღარით ძირს იყრება.

პთონის მეურნეობის ყოველ ნაწილში თითო
უფროსია ჩაყენებული. სახელოსნოები, სანთლის
ქარხანა, ბალები, წისქვილი, სეხაბაზო, სასტუმროე-
ბი, საავათმყოფო, აფთეაჭი, დუქნები, კანტორები,
ქართა, ვენახები, სასაღილო-სამზარეულო და სხვა,
— ყველა ეს განაწილებულია ამ გვარათ: არის და-
ყენებული ყოველ ნაწილში თითო უფროსი. რო-
მელსაც ყავს მიცემული იმდენი მომხმარე, რამდე-
ნიც საჭიროა; როცა წარმოება ფართოვდება ამა
თუ იმ ნაწილში, მუშა ხელი ემატება, ასე რომ არც
ზარმაცობა შეიძლება და არც ზედმეტი აუტანელი
მუშაობა მოეთხოვება ვისმე. შოველი ნაწილის წარ-
მატება და სისწორით საქმის წარმოება დამოკიდე-
ბულია უფროსზე, რომელიც აძლევს ანგარიშს მო-
ნასტრის გამგე წინამძღვანს — იერონს.

შოველი საჭირო მასალა, ნალდათ საყიდელი, გამოსაწერი, შესაკვეთი, დასამზადებელი—გათვალისწინებული აქვს ამა თუ იმ ნაწილის უფროსს და თავის დროზე წინამძღვანს მოახსენებს; წინამძღვანიც დროითვე ზრუნავს ყველაფერზე და ყველას მოთხოვნილებას დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მონასტრის შესავალ-გასავალი — ესე იგი მთელი ბულალტერია — ტრიალობს ამ ერთი მოხუცის ხელში, რომელსაც ორი გადამწერი ბერი ყავს და მთელი კანცელარია ორ პატარა ოთახშია მოთავსებული. შველგან გამგეთაც, მუშათაც და დარაჯათაც ბერებია ჩაყენებული. სულ ითვლება დღეს 700 ბერი და 50 მუდმივი შავი მუშა, მათ შორის დარაჯები, მეჯინიბეები, მენავეები და სხვა.

შველა ბერი ჩამომავლობით რუსები, უსწავლელნი არიან, ან შინაური, მონასტრული განათლება აქვთ მიღებული, გამონაკლისს შეადგენს ნასწავლი ბერები, მაგალითად ისეთები, როგორიც არიან ელექტრონის მანქანის მანტიორი — ინჟენერი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში ყოფილა, — და ერთი მაჩინი — ინგლისის გემზე ნამსახური. მას ნასწავლი ბერები (ორივე ყმაწვილია) განვებას მოუყვანია აქ და ისინიც სიამოვნებით ასრულებენ თავისი ნებით არჩეულ მოვალეობას. მრივე ნასწავლ ბერს თავისი ცოდნა პრაკტიკულათ შეუსწავლებია რამდენიმე ბერისათვის და ამგვარათ არავითარი ქირა არ ეხარჯვისთ არც ელექტრონის მანქანაზე მუშაობაში და არც ზღვაზე ნაოსნობაში.

ბერებს კერძო საკუთრებაზე ხელი აქვთ აღებული. მათ ეძლევათ მონასტრისაგან ხარჯი, ტანისა და ფეხის საცმელი და გამზადებული ბინა. ვოშტითაც რომ რამე მოუვიდეს რომელიმე ბერს, ისიც კი სამონასტროთ შეირიცხება. ბერები ყველა უვალოთ მსახურობენ, სიკვდილამდი მათი ბინა იქაა და ღრო გამოშვებ ნება აქვს სამშობლო მხარე ინახულონ. სტუმრათ თუ ეწვია რომელიმე ბერს ნათესავი მამრობითი სქესისა, ნება აქვთ მიიღოს, ება-ასოს, ღამე გაათევიანოს და მონასტრის ხარჯით გაუმასპინძლდეს. ბერებში განხორციელებულია პრინციპი შრომის განაწილებისა. სამუშაოს განაწილების დროს მხედველობაში ღებულობენ ბერის წლოვანებას, ფიზიკურ იგებულობას და სამსახურის ვადას. მუშაობა, რაგვარიც უნდა იყოს, ხელს არ უშლის ბერებს წირვა-ლოცვაზე დასწრებას და სავალდებულო რიგის საეკლესიო სამსახურის ასრულებას. მა ასეა მოწესრიგებული ნიჭიერი წინამდლვრისგან, რომ ვინც უნდა განიხილოს, მგონი ვერავინ ვერ შეიტანოს რამე შესწორება. ლოთისმსახურება სრულდება ყოველთვის დღეც და ღამეც. დამით ასრულება ყველასათვის სავალდებულოა — დღით კი მორიგობით. მონასტერში მუდმივათ სამი მგალობელთა გუნდია, საკუთარი ლოტბარების ხელმძღვანელობას ქვეშ.

მონასტერში მიმსვლელთა რიცხვი ძნელი გამოსაანგარიშებელია; ზამთრობით ორთა შუა რიცხვით დღეში 20 მოდისო, გაზაფხულსა და შემოდ-

გომაზე — 50, ზაფხულობით კი დღეში 100—400-მდი.

მონასტერში წესი არის დადებული, რომ ყოველ მიმსვლელს უსასყიდლოთ ეძლევა ბინა და სამი დღის განმავლობაში. ხარჯი ისეთი, როგორიც აქვს საზოგადოთ ბერებს: დილა-სალამოს ჩაი და პური, 12 საათზე სადილი და 7 საათზე ვახშამი; სადილ-ვახშამით ორი თავი სამარხვო საჭამალი და ლვინო; უქმე დღეობით ოევზი. ვინც მოისურვებს სამ დღეზე მეტი დარჩეს, მან მონასტრის წინამდლვარისგან უნდა გამოითხოვოს. ~~ეჭიროვა~~. ადვილი წარმოსადგენია, რა ხარჯი აქვს მონასტერს ზაფხულობით, როცა ყოველდღე საზღოობს ერთი-ერთმანეთზე ანგარიშით 1200-მდი ადამიანი!.. მლოცველები თავის მხრით სწირავენ მონასტერს შეძლებისამებრ — და ეს შეადგენს მონასტრის შემოსავლის ერთ წყაროს.

რაც კი რამ არის ახალ პთონში, შენობა, ბაღი, კიბე, გზა, ხილი, ლობე, თუ სხვა ადამიანის ხელით ნაკეთები და ნაშენი — ყველაფერი მოსაწონია, ყველაფერს აზის ნიჭიერი ოსტატის დაღი, ყველაფერი შეესაბამება თავის დანიშნულებას, ყველაფერი მომარჯვებული და საიმედოა. შველა მიმსვლელი გულახდილათ აღიარებს, რომ ყველაფერზე გამოჭრილია ბეჭედი გულმოდგინე, მუყაითი მუშაობის, პრაკტიკული მუშაობისა და საუკეთესო პლანების კოდნის. მიჩრებიხარ ყველაფერს დარწმუნდები, რომ აქ ნაჭირავებ ხელს კი არაფერი უკეთებია, ყველგან თვით პატრონს უმუშავია, ყველაფე-

რი გემოზეა გაკეთებული ერთგულათ და შუაითად.

შველაფერი, რაც კი რამ არის მონასტერში, მოხუცი იერონის პლანით არის გაკეთებული. სა-დაც-რამე გაკეთდა — ეს სულ მისი ჯოხით არის გა-ზომილი და შემოხაზულიო, გვეუბნებოდა ერთი წინამძღოლი ბერი — მრემი — ერთი მათგანი, რომე-ლიც დაუძლვნიან ხოლმე მნახველებს და უხსნიან ყველაფერს. ამ ბერს 25 წელიწადი გახთომია უკ-ვე ათონში და თითქმის ყველაფერი მისი თვალის წინ გაკეთებულა და მისი ჩვენება საყურადღებოა.

რა საშვალებით გაკეთდა ახალ ათონში ყოვე-ლივე ეს, რაც ავსწერე? აწერილობიდანაც წარმო-იდგენ, მკითხველო, რომ არა ერთი და ათი მილი-ონი ფული ეყოფოდა ამდენ საქმეს. ძლიერ მეინ-ტერესებოდა მენახა სრული ანგარიში შემოსავალ-გასავლის და ბეჯითად გამეგო მთელი ბიუჯეტი მონასტრის, მაგრამ ეს არ მოხერხდა. დაწვრილებით ამ ცნობებს ვერავინ მიიღებს თურმე; ეს ერთგვარ საიდუმლოებას შეადგენს, რომელიც ყველას არ ეცნობება. ვიცით მხოლოდ ის, რომ აქ დახარჯუ-ლი მილიონები არის მხოლოდ შემოწირულება პი-რადათ მლოცველებისაგან მოტანილი, სხვადასხვა ადგილიდან ფოშტით გამოგზავნილი და პირველი-დან ჩამოსათხოვარი წიგნაკებით მოგროვილი. დღეს წიგნაკებით აღარაფერი გროვდება ისე შემოსავალიც დიდია და სრულიად საკმაოა. არის ისეთი შემთხვე-ვა; როცა დღეში ფოშტით სხვადასხვა პირისაგან მოვა 700—800 მანეთი. ამასთანავე სახეში მისაღე-

ბია, რომ იშვიათად მოვა გემი, რომ ან ფქვილით საკეთ ტომრები ან შაქარით სავსე ბოჭკები არ დასტოვოს ახალ პთონში — არ ეს სურსათი იგზავნება რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან, როგორც შემოწირულება, მდიდარი ვაჭრებისაგან. მრთ მდიდარ მემამულე მოხუც ქალს 60,000 მანეთი გამოეგზავნა, რომ ჩემს სახელზე სამწირველო ააშენეთ მახლობელი ივერიის მთის წვერზე.

დიდი შემოსავალია დღეს ახალ პთონში, მაგრამ ხარჯიც დიდია; პთონის მეურნეობა დღეს რთული რამ არის და იმისი თავის გართმევა ადვილი საქმე არ არის. ნალდი ფული. მონასტერს არა ქონია; ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან იერონი ასეთი შეხედულობით ხელმძღვანელობდა თურმე, რომ შენახულ ფულს ვინ დაეპატრონება და რაზე მოიხმარებენ არ ვიციო და ამიტომ უმჯობესია ყოველი შემოსავალი ისევ მონასტრის გასაუმჯობესებლათ და მეურნეობის გასაფართოებლათ ვიხმაროთ. ამისდამიხედვით ყოველი შემოსავალი ახალიახალ საქმეზე იხარჯებოდა. ასე ყოფილა დღემდი და ასეა დღესაც, ხოლო აწი რა წესი დადგება ეს მომავალის საქმეა.

შურადღება მისაქცევია მკითხველო, რომ ახალი პთონის მეურნეობა, იქაური მუშაობა, შესავალ-გასავალის ანგარიში და საქმის წარმოება საადვილო არ არის, მაგრამ ყველაფერი წესიერათ სრულდება. მერე რა სახით? — მთელი ბუღალტერია, როგორც ზევითა ვსთქვით, ერთი მოხუცი იერონის ხელშია,

მას ორი გადამწერი და ერთი მოლარე ყავს და კანცელარიაც ორ ოთახშია მოთავსებული. შოველ-გვარი მიწერ-მოწერა მთავრობასთან, კერძო პირებთან, ფირმებთან, და კანტორებთან, ქარხნებთან ყოველი მასალის გაწერ-გამოწერა, ანგარიშის შედგენა და სხვა სრულდება ამ სამი-ოთხი პირისაგან, მაშინ როცა ისინი თავისი ხარისხის მოვალეობას კანონიერათ ასრულებენ. ამას რომ ვუკვირდები, მკითხველო, ძალაუნებურათ გამახსენდება ჩვენს კურ-თხეულ დაწესებულებებში რომ სქელსქელი საბუ-ღალტერო წიგნებია სუფრებზე მოლაგებული, ხუ-თი-ექვსი „კურსოვნიკი“ თავზე დასჩერებია, მთელი რაზმი მწერლების ჩაწერას და სულ რახარუხი გაუდის საანგარიშო ჩოთქებს და მაინც ანგარიში აწეწილ დაწეწილია, ბალანსი ბანალშია არეული და „კრედიტი“ „დებეტში“, ორ სუფრას შეა მა-ინც ხან ორდერი იკარგება, ხან ყალბი ჩეკი გამო-ხტება ხოლმე. როგორ ფიქრობ, მკითხველო, სის-წორით საქმის წარმოებას კანცელარიის გართულე-ბა სჭირდება?!?! ასე რომ იყოს შუთაისი ხომ მეურ-ნეობის ნიმუში იქნება.... ჩვენში რომ ერთი საავათ-მყოფო გაკეთდეს, ამისთვის ერთ წელიწადს საკამა-თო კრებებია საჭირო. მერე დიადი სესხის აღება, შემდეგ ინჟენერების პლანის განხილვა, შემოწმება, გადამოწმება, გადმომოწმება, ბოლოს აშენება და ისიც დიდი დეფეკტებით — ან აღმოსავლეთისაკენ უზამენ ზურგს, ან ფანჯრების გამოჭრა დაავიწდე-ბათ, ან სანიავესკენ მიუშვერენ პირს, ან სინოტი-

ვის ბუღეს დაატანებენ, ან რაღაც უცნაურობას ჩაიღენენ და სანამდი ახალ შენობაში შეხვიდოდე, უკვე გადაკეთებაზე სჯა-ბაასი გაიმართება. რატომ არის მკითხველო, რომ საღაც ბევრი პატრონია იქ მეურნეობა უპატრონოთაა და ქართული ანდაზა: „შვიდმა გამზღველმა ბავშვს თვალი დაუმსოვო“ მართლდება? მიტომ რომ შვიდ გამზღველში არც ერთი არ ასრულებდა დედის მოვალეობას, როცა ბევრი „პატრონია“, თურმე ნამდვილი ერთიც არ არის. ასე არ ყოფილა ახალ პოლიცია, იქ ერთი აზრი მუშაობს, ერთსულობა და ერთგულობა უძევს სარჩულათ მთელ წარმოებას. ჰერძო საკუთრება საზოგადოთ არის გადაქცეული, ჩვენში კი საზოგადოს კერძოთ აქცევენ ხოლმე და ვინც ჩაიგდეს ხელში საზოგადო დაწესებულებას დედიმისის ნამზითვარივით როგორც უნდა, ისე ატრიალებს.

რაც შეეხება ბერების შინაურ ცხოვრებას, მათს ზნეობრივ მხარეს და პირნათლათ აღთქმის ასრულებას — ეს მე არ გამომიკვლევია და ამის გაგება უცებ არც შეიძლებოდა, მაგრამ შთაბეჭდილება კი ისეთი მივიღეთ იერონის მოქმედებით და მოლვაწეობით, რომ ყოველ ეჭვს გარეშეა მისი მედგარი მტკიცე ხასიათი, ავტორიტეტი და უმწიკვლო ზნეობრივი სახე ამ მხარეს არ მოაკლებდა ჯეროვან ყურადღებას, სანამდი შეძლება ქონდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ აგრეწოდებული „დაყუდებული ბერები“. ისინი მოშორებიან პოლიციას და 100 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთისაკენ, უღაბურ მთებში ცხოვრობენ და დიდ გაჭივრებას განიციან. დრო გამოშვებით ჩამოვასნ ეს ბერები პოლიციას და ჩამოაქვთ თავისი ხელით ნაკეთები ხის ნივთები

(კოვზები, ჯოხები, ჯვრები, ბეჭდები). მონასტრის ლუქანში მონასტრის სასარგებლოთ გასასყიდათ. და ყუდებულ ბერთა ცხოვრება მთაში, სიცივეში, მოუწყობელ ბინაზე და მცირე საზღოზე აუტანელია, მაგრამ მათ ეს მოლვაწეობათ მიაჩნიათ, ყოველ გაკივრებას განზრახ ითმენენ; ასე წარმოიდგინეთ, რომ ერთი მეორეზე 15—20 ვერსით არიან მოშორებულნი, რომ ხშირათ არ ვიღაპარაკოთო. და ყუდებულ ბერთა შორის არის ერთი უმაღლესი განათლებით, რომელიც თანამშრომლობს უურნალ „Руский Инохъ“-ში.

ათონის მონასტერი დიდი ხნიდას იზიდავდა მნახველებს და დღეს მაინც იშვიათია ისეთი მგზავრი შავ ზღვაზე, რომ იქ არ შეუხვიოს. ზაფხულობით ექსკურსანტებიც ყოველი მხრიდან ათონისაკენ მოეშურებიან და ოროლ-სამსამი დღე აქ სიამოვნებენ, ასე რომ დღეში საშვალო რიცხვით 200 მოგზაური მაინც არის ხოლმე.

ათონის სანახავათ მოდიან საპატიო პირები და ძლიერნი ამა ქვეყნისა. 1888 წელში ახალი ათონში მიბძანდა და მთავარი ტაძრის საფუძველის კურთხევას დაესწრო რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამე, რომელიც ლრმა მორწმუნე ადამიანი იყო და დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრებს. იმ წელში ჩვენი ზელათის მონასტერიც ინახულა მეფემ და დღეს რომ გზატკეცილია შუთაისიდან ზელათს გაყვანილი — ეს იმ შემთხვევის წყალობაა. ათონის მონასტერში მისასვლელი დღეს არსებული პირდაპირი გზატკეცილი არ ყოფილა მაშინ და მეფე დასავლეთის მხრით მიუყვანიათ ეტლით. ის ადგილი სადაც მეფე ეტლიდან ჩამომხტარა ტაძრის ეზოში

ქვის კედლით არის შემოზღუდული და თუ სალის
გაკეთებული. ის გზა, რომელზედაც მეფეს აუვლია
ეტლით, დღეს სასეირნო შარათ არის გაკეთებული.
წყალვარდნილის ახლო, კლდეში მარმარილოს ფი-
ცარის ჩასმული და ზედ ღრმა მოვარაყებული ასო-
ებით აწერია, რომ 1888 წელში რუსეთის ხელმწი-
ფე იმპერატორი ალექსანდრე მესამე ოჯახობით ბძან-
დებოდა აქ და ამ ადგილის ნახვა კეთილ ინებაო.
მეფეს დიდი სიამოვნება მიულია თურმე პთონის ნა-
ხვით და უხვი შეწირულებაც დაუტოვებია მონასტრი-
სათვის. ასეთი დიდებული სტუმრის მისვლას მო-
ნასტრისთვის სასარგებლო შედეგი ქონია და პთო-
ნის მონასტერს მაღალ სფეროებში ყურადღება დაუ-
მსახურებია.

შარშანწინ პთონში მისულა ნოვგოროდიდან
ის ვაჭრის შვილი, რომელსაც იერონი ახლდა იე-
რუსალიმში მგზავრობის დროს. სტუმარს როცა უნა-
ხავს პთონის დიდება და იერონის მოღვაწეობა, მე-
ტათ გახარებია, მაღლობა შეუწირავს იერონისთვის
და უხვი შეწირულება დაუტოვებია. იერონს უთ-
ქვამს 35 წლის უკან დასახული მიზანი უკვე შევა-
სრულება და დღეს სულიერათ დაკმაყოფილებული
ვარო.

**ახალი პთონის ცხოვრება და იქაური მეურ-
ნეობა დღეს საკმაოთ გართულებულია.** წინამდლვა-
რი იერონი ღრმა მოხუცებულია, მისი ენერგია,
აღმინისტრატიული ნიჭი, ავტორიტეტი, დღეს უძ-
ლურებისა გამო ფრთა შეკვეცილია და რომ პთო-
ნის საქმე არ აიბნეს, დამკვიდრებული წესიერება
არ დაინგრეს, საჭიროა შესაფერი წინამდლვრის გა-
მოძებნა.